ა(ა)იპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის
სახელობის სამუსიკო სკოლის 2022-2023 სასწავლო
წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

ადამიანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ხიბლი აქვს მუსიკას, რომელიც დადებით გავლენას ახდენს და ამდიდრებს მის სულიერ სამყაროს. ამიტომ სამუსიკო ხელოვნება არის კულტურის გამორჩეული სფერო.

მუსიკასთან შეხება ადრეული ასაკიდან იწყება და სამუსიკო განათლება ერთადერთია, რომელიც საჭიროებს უწყვეტ, სისტემატურ, მიზანმიმართულ სწავლას საბაზო საფეხურიდან უმაღლესი სკოლის ჩათვლით.

ხარაგაულის სამუსიკო სკოლა უკვე 66 წელია ემსახურება ამ კეთილშობილურ საქმეს. მისი მიზანია ახალგაზრდები აზიაროს კლასიკური მუსიკის უმდიდრეს შემოქმედებას და რაც მთავარია აღზარდოს კარგი მსმენელი. ასევე საჭიროა შემოქმედებითი მიდრეკილებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, სიმღერის,სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის მიმართულების ჩამოყალიბება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სამუსიკო სკოლის პერსონალი, სადაც დასაქმებულია 19 თანამშრომელი, ღირსეულად ართმევს თავს ამ მიზნებს.

სკოლაში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს, ვიოლინოს, თეორიული, საესტრადო ვოკალის განყოფილებები, სადაც ირიცხება 87 მოსწავლე.

სწავლების პირველი საფეხური (საბაზო) – 7 წელი, მეორე საფეხური-9 წელი. ფორტეპიანოსა და ვიოლინოს განყოფილებებზე სწავლება ფასიანია (90 ლარი წელიწადში), აქედან 19 მოსწავლე განთავისუფლებულია, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი. სხვა განყოფილებებზე სწავლება უფასოა.

სწავლება მიმდინარეობს სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. თითოეულ მოსწავლისათვის დგება პროგრამა, რომელსაც შეისწავლის წლის მანძილზე.

სკოლაში მოღვაწეობს 8 პედაგოგი და ერთი კონსულტანტი, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევს პედაგოგებს, მუშაობს ინდივიდიალურ მოსწავლებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკურსებში, ატარებს

მასტერ-კლასებს და თემატურ ლექციებს. წლის განმავლობაში ტარდება ღია და დახურული კონცერტები, სასკოლო კონკურსები, მოსმენები, ჩათვლები და გამოცდები.

მოგახსენებთ,რომ 2017 წლის სექტემბერში ჩამოყალიბდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ბენდი „გრავე“, რომელიც შედგება 7 წევრისაგან და აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის და მუნიციპალიტეტის კულტურულ ღონისძიებებში.

სასწავლო პროცესის პარალელურად მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონცერტებში და კონკურსებში.

განვლილი კოვიდ პანდემიის შემდეგ 2023 სასწავლო წელი საკმაოდ დატვირთული გახლდათ როგორც სასწავლო პროცესით, ასევე ღონისძიებებით.

სასწავლი წლის დასაწყისში სკოლის გოგონათა გუნდმა „ედელვაისი“ წარმატებით გაიარა საგუნდო მუსიკის შემსრულებელთა ეროვნული კონკურსის პირველი ტური, მიწვეული იქნა ქ.თბილისში 15 ოქტომბერს არტ-ჰოლში, სადაც წარმატებით გამოვიდა.

4 დეკემბერს ქ.ბათუმში საქართველოს ხელოვანთა კავშირის ორგანიზებით გამართულ კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე წარმატებით წარსდგა გუნდი „ედელვაისი“ (პედ.დარეჯან კაციტაძე და დარეჯან გვაძაბია) და პედაგოგებთან ერთად გადაეცათ საპატიო დიპლომები მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

21 დეკემბერს სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა საახალწლო კონცერტი და მონაწილე ბავშვებს საჩუქრები და ტკბილეული გადაეცათ.

28 დეკემბერს გაიმართა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „გრავეს“ საახალწლო კონცერტი და დიდი მოწონება დაიმსახურა.

2023 წლის 6 მარტს გაიმართა ტრადიციული საგაზაფხულო კონცერტი, რომელიც დედის დღეს მიეძღვნა.

24 მარტს მონაწილეობა მივიღეთ კლასიკური მუსიკის ეროვნულ კონკურსში.

3 აპრილს მონაწილეობა მივიღეთ V11 ეროვნულ კონკურს-ფესტივალში, სადაც გუნდი „ედელვაისის“ მოსწავლეები ლიზი კურტანიძე, მართა დავაძე, ნიცა ზუმბაძე საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

4 აპრილს ქ.ქუთაისში გაიმართა საერთაშორისო თეორიული კონფერენცია „თაობათა ცვლა“, სადაც წარსდგა ლიზი შარიქაძე (პედ. დ. მერაბიშვილი) თემით

„ჩემი მხარე - ჩემი ხარაგაული“ და დიდი მოწონება დაიმსახურა, დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით და ფასიანი საჩუქრით.

გოგონათა გუნდის შესრულებული ახალგაზრდული ჰიმნით გაიხსნა ფესტივალი „ გაზაფხულის ხარაგაული “.

ამ ფესტივალის ფარგლებში ბენდმა „გრავე“ კონცერტი გამართა ხარაგაულის განახლებულ ულამაზეს პარკში, 4 მაისს.

16 მაისს ქ.ზესტაფონში ვარინკა მაჭავარიანი-წერეთლის სახელობის ამფითეატრში ქართული სიმღერის ფესტივალი „ იმერეთის ხმა “ გაიმართა, სადაც წარმატებით წარდგნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები, და სამახსოვრო საჩუქარი გადაეცათ.

2023 წლის 12 მარტს ცნობილი პიანისტის, ხელოვნების აკადემიის რექტორის, ვალერიან შიუკაშვილის ინიციატივით გაიმართა იმერეთის რეგიონის სამუსიკო სკოლების ღვაწლმოსილ პედაგოგებთან შეხვედრა, სადაც მიწვეული იყვნენ ლიანა კვირიკაშვილი და ლალი ალექსიძე. საერთაშორისო და ეროვნულ კონკურს-ფესტივალებში მიღწეული წარმატებებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვდა ქალ. ლიანა კვირიკაშვილი, ხოლო ლალი ალექსიძეს მიენიჭა ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრის წოდება.

2 ივნისს გაიმართა ბავშვთა საზეიმო დაცვის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდა კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. სამუსიკო სკოლა დაამთავრა 12 მოსწავლემ, აქედან სამმა 9 კლასი, ხოლო ცხრამ 7 კლასი.

სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ძალებით მოვამზადეთ საბავშვო მიუზიკლი „კონკია“, რომელიც უნდა გამართულიყო 30 ივლისს, მაგრამ მომხდარი სტიქიური მოვლენის გამო მოგეხსენებათ სპექტაკლი გადაიდო, ეხლა განვაახლეთ რეპეტიციები და უახლოეს მომავალში (22 სექტემბერი) წარმოგიდგენთ კინოთეტრის სცენაზე.

გთხოვთ გვეწვიოთ.

უკვე დავიწყეთ მზადება ახალი ნაკადის მისაღებად, შემოსულია 11 განაცხადი და ველოდებით კიდევ მეტ მსურველს.

სწავლა განახლდება 15 სექტემბერს.

2023 წელს სამუსიკო სკოლის დაფინანსება ბიუჯეტიდან შეადგენს 180000 ლარს.

ხელფასები - 176280 ლარი - გახარჯულია 118871 ლარი

კომუნალური - 868 - 786

კავშირგაბმულობა - 732 - 497

საქ. და მომსახურება - 3720 - 1925

მივლინება - 420 - 242

სხვა დანარჩენი - 500 ლ

საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა - 2362 ლარი

პატივისცემით სამუსიკო სკოლის

დირექტორი : ლ.ალექსიძე.